სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
010.250.020.35.119.000.626

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

2010 წლის 25 აგვისტო

ქ. ხონი

ქ. ხონში გალაქტიონ ტაბიძის ქუჩისთვის მერაბ თუთისანის სახელის მინიჭების შესახებ

რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ომში 2008 წლის 9 აგვისტოს ცხინვალში გმირულად დაღუპული თავდაცვის სამინისტროს მე-5 ბრიგადის ინსტრუქტორის, უფროსი სერჟანტის, ვახტან გორგასლის 1 ხარისხის ორდენის კავალერის მერაბ თუთისანის სახელის უკვდავყოფის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „უ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1
ქ. ხონში გალაქტიონ ტაბიძის ქუჩას მიენიჭოს მერაბ თუთისანის სახელი.

მუხლი 2
ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებათა განხორციელება.

მუხლი 3
დადგენილება ძალაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გ. გელენიძე